ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №51893

ნომერი: AR123762

თარიღი : 15.02.2012

გაცემის თარიღი : 16.02.2012

გაცნობის თარიღი : 16.02.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქერჩის , მიმდებარედ (ნაკვეთი 19/089) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ნიკოლაშვილი პ/ნ 01012022690
- თბილისი ალ.წულუკიძის ქ. კორ. 25 ბ. 28

ორგანიზაცია:

- შპს "თბილ ლაინი" კოდი: 404392260

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახუმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – გლდანი, ქერჩის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი #19/089), შპს "თბილ ლაინი"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, I კლასის შენობა–ნაგებობის აშენების შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, იმისათვის რომ სამსახურმა გასცეს წერილობითი თანხმობა მშენებლობაზე, შენობა უნდა აკმაყოფილებდეს I კლასის მახასიათებლებს (გარე კონტურში არ უნდა აღემატებოდეს 60 კვ.მ და სიმაღლე 5 მეტრს) წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნება ამავე მიწის ნაკვეთზე გაცემული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების შესაბამისად დამუშავდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა (II და III სტადია)

I კლასის მახასიათებლებია:

ა) 60 მ2- მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლის და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა;
ბ) შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გრაფაში – "ფოტომონტაჟი", რენდერზე მიეთითოს საპროექტო შენობის გაბარიტული ზომები (რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს I კლასის მახასიათებლებს) და მასალები.

"მოთხოვნის ტექსტი"–ს ველში მიეთითოს შენობა–ნაგებობის ფუნქცია.

ხარვეზების გამოსწორების შემდგომ სამსახური თავიდან განიხილავს საკითხს და გასცემს წერილობით ნებართვას.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.